

საქართველო

წ. 1 1915 წ.

შაბათი 16 მაისი

№ 80 ყოველდღიური საკომუნიკაციო და სალიტერატურო გაზეთი № 80

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლება სხვაზედა, ორივე ტკბილი ძმობილი, მირჩენის ორსვე თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთი ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა მ შ ო ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი დ ი რ ს :

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
გისტოვით ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვარდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ბარათი იოსების ასულზე ვაჭარისა, სალომე იოსების ასული ბენდუქიძისა, ანა იოსების ასული ბენდუქიძისა, მარია იოსების ასული ზოსონიძისა, ივლიტა ლეონის ასული ვაჭარისა შვილებით: ალექსანდრე, იოსებ, დავით, გიორგი, სამონ ვაჭაროზის ძე, მარია ვაჭაროზის ასული და ვაჭარა ვაჭაროზის ასული აბულაძისა აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთა და მეგობართ, პირველნი საყვარელი მამისა, მეორე მამათილისა და უკანასკნელი დაუწყყარი ბაბუის
იოსებ გიორგის ძის ვაჭარის
გარდაცვალებას. პანაშვილები ყოველდღე საღამოს 6 1/2 საათზე. გამოსვენება კვირას, 17 მაისს, საღამოს 4 საათზე, საკუთარ სახლიდან, თფილისის ქუჩაზე. გ—2—217

კვირას, 17 მაისს, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი
ალექსი ზაფხუცის ძის მისიძის
სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები და ძმები. პანაშვილის დასაწყისი 11 1/2 საათზე. 1—1—214

ქ ა ლ ა მ ო ს თ ე ა ტ რ ი .
კვირას, 17 მაისს, ქალაქის თეატრში გაიმართება დიდი სალიტერატურო
ს ა ლ ა მ ო ს
ოთხ განყოფილებათ.
1. სალიტ. განყ. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მწერლები, წაკითხული იქნება აპაკის უკანასკნელი ლექსები და ჯაჯუ ჯორჯიკის ახალი მოთხრობა. სალიტერატურო განყოფილება იქნება გაყოფილი ორ ნაწილად. პირველათ გამოვლენ ბელეტრისტიკა—შემდეგ—მეცნიერება. 2. საკონცერტო განყოფილება. იმღერებს ცნობილი მომღერალი ვალ. თუთბერიძე, ბ. გაგაშელაშვილი, ვ. ჯოჯოაძე და ტრიო (სამი ხმა) შესრულებს რამდენიმე სიმღერას. 3. იუმორისტულ განყოფილებაში წაკითხული იქნება გულუბრი და სხვა საოხუნჯო სცენები. მსახიობი ნემო და ვ. ტყეშელაშვილი შესრულებენ საამბროსო კუმბლტებს „ვილი-უის“ ხმაზე და 4. დასასრულ გ. არაღელი იმხნელის მონაწილეობით წარმოადგენილი იქნება აქვ. ცვაგარის პიესა,
ქ ე თ ო ს
ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა. დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობა განაცხადებს, რომ საზოგადოების
წლიურ ჩვეულებრივი კრება
დანიშნულია ქუთაისის ქალაქის საბჭოს დარბაზში, შაბათს 16 მაისს, საღამოს 8 საათზე, 1915 წლ., ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც არ შედგა 7 ამა თვისას.
გ ა ნ ს ა ხ ი ლ ვ ე ლ ი ს ა გ ნ ე ბ ი :
1) განხილვა წლიური ანგარიშისა.
2) განხილვა მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვისა.
3) შეუშავებია მომავალი წლის გამგეობის მოქმედების გეგმისა.
4) არჩევნები გამგეობის და სარევიზო კომისიის წევრებისა და უკანასკნელთა კანდიდატებისა.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ანხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელის და ანხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტიკული, პედაგოგიური, იურდიული, საბავშვო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამოართულია მნიშვნელოვანი საკანცელარო მალაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველაწიგნი სიმოსწავლო საკანცელარო ნივთები.
ქ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ზ ა ს ო თ
ს. ლ. ც. მამიაძე

ელექტრო-თეატრი „რ ა დ ი შ ე ი“
ხუთშაბათიდან, 14 მაისიდან, ახალი დიდი პროგრამა
— გომონის ქრონიკა № 42 —
სენსაციური სურათი „ნორდისკისა“.
ცხოვრება არ იცდის
ძლიერი დრამა სამ ნაწილათ, გამოცემა ცნობილი ქარხნის „ნორდისკისა“ კოპენჰაგენში. სურათი ნაჩვენებია იქნება გამოჩენილ მსახიობის იონანსენის მონაწ.
— ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ჭ ი ა —
ძლიერ კომიკური სურათი. დასაწყისი საღამოს 6 1/2 საათზე.
ანონსი: ორშაბათიდან, 18 მაისიდან ნაჩვენებია იქნება სენსაციური სურათი **ბ ე დ ი ს - ა მ ა რ ა**. მხატვრული დრამა 4 ნაწ. პიერ-სლიას ცნობილი რომანიდან.

ქალაქის თეატრში შაბათს, 16 მაისს, გამართული იქნება
სალიტერატურო დრამატული საღამო
ბ. ალ. გარსევანიშვილი ისაუბრებს მეფე-მამეთე საუკუნის საქართველოს ისტორიიდან „მართვლი ძალი მაია“. პირველად ახალი კომედია **ო მ ი ო ს ა ლ ო ს თ ა ნ**. 1 მოქმ. ვ. ურუშაძისა. მონაწილეობენ: ქ. ქ. მ. მღვიანი, ნ. ჯავახიშვილი, ბ. ბ. ბარველი, ა. მგალაბლიშვილი, ა. ყალბაგვიშვილი, ვ. ურუშაძე, დ. ჩხეიძე.
ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო გ ა ნ ე მ ო ფ ი ლ ე ბ ა
მონაწილეობენ: თ. ნ. მ. ლორთქიფანიძე, ბ. ბ. ვარლამ რუხაძე, გალაქტიონ ტაბიძე და ნოე ჩხიკვაძე. უშ.

ქუთაისის საზოგადო საკრებულო. შაბათს, 16 მაისს 1915 წ. საკრებულო დარბაზში შესდგება
უკანასკნელი საღამო საზოგადოებრივი
1. მონაწილეობისათვის განაცხადებს, 2. რეზიუმე ორკამბრი, 3. ცეკვა და ლობო შევლის ფასი: კაცები იხილან თითო მანეთს, ქალები 50 კ. წევრები და მათი სტუმრები უფასოთ. 25 პროც. გადადებულია მეომართა ოჯახების სასარგებლოთ. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. მამასხლისთა საბჭო. 2—2

კვირას, 17 მაისს, ქალაქის თეატრში გაიმართება
დიდი სალიტერატურო-დრამატული-მუსიკალური იუმორისტული,
ს ა ლ ა მ ო ს
საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.
ე ქ ი მ ი **გ ო კ ი ე ლ ი ს**
ელეგტიკონისა და სინათლის
კაბინეტი. შინაგანი წევრებისა და ვენერუელ ავანტიურების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარ სახლად.
ე ქ ი მ ი **გ ა ბ რ ი ე ლ ი ს**
ამ ზაფხულს რჩება ქუთაისში და განაგრძობს ავანტიურების მიღებას ძველ ბინაზე დანიშნულ დროს. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. 7—3
ე ქ ი მ ი **მ. ბ. მულინი** გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩუკაძის სახლში. ლეზულოპს ყელისა, ცხვირისა და ყურების ავანტიურებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

სამსახურის და საკუთარი ფარგლისათვის. მასს-ფოსტა მ. ბ. ბალანდინისა ჩამოვიდა და განაწესა ავანტიურების მიღება, აქვს მოწოდება **ორთქლის ვანა**, რომელიც წამოს სხვის ეკუთვნის ავანტიურებისა: სი-წითლეს, მუწუკის, ხავეჭის, ჭორღის და ხავეჭის დასახარებულ სხეს, მასსახვეჭის სხეს სხვა და სხვა ავანტიურებისა. **აგრომთავ ვუტერი ვაჟილი**. ავანტიურების მიღება დღით 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩება და დარბაზს 10 მ. მონაწილის ფასი ალექსანდრეს ქუჩაზე. მისამართი: გუგულის ქუჩა, დარბაზისათვის სახლი. თ.

ქ ა ლ ი ს ე მ ი მ ა ზ ი
მენალაჩიშვილი & სკოლაშვილი
დ რ ო ე ბ ი თ ბ ა თ ო მ ი დ ა ნ გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალფის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავანტიურების მიღება დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავანტიურების მიღებას და ლობოსას. ავანტიურების მიღება: კუჩუკზე, ოქროზე და ალმონზე. ლობოსას ავანტიურების არჩენენ რამდენიმე შენახვა ახალი საშუალებით. თ.

მ ა ი
მეტროგრაფის დეპ. საგენერალსკან. ალმონავალითის ასპარაზი.

მეტროგრაფი. 14 მაისი. მთავარანგელოზის სტაბისაგან. შავლის რაიონში თორმეტსა და ცამეტს ჩვენ წარმატებით ვმოქმედებდით. ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია მეტროგრაფი—შავლის სახარტო დასავლეთით და ქვედა დუბისისკენ. მტრის იერიში მოვიგერიეთ როსსიენის აღმოსავლეთით. ჩვენ წამოვიყვანეთ რამდენიმე ასი ტყვე, ერთი ავტომობილი და სხვა სამხედრო ნაღველი. 13 მაისს მეტროგრაფი მძიმე არტილერიით იერიში მოიტანა ოსოვეცის ციხეზე. ვედანბნოს აღმოსავლეთით მეტროგრაფი ცდილობდა იერიშის მოტანას შაბათს გაზის საშუალებით. ნარევის ფრონტზე სროლა. ვისლის მარცხენა ნაპირზე, ბზურაზე ჩვენმა მსროლელებმა აკუსეს 60-მდე გერმანელი მხვერავი რაზმი, დანარჩენები ტყვეთ წამოვიყვანეს. ოპატოვის გეზით მეტროგრაფი ძლიერი ძალებით უშედეგოთ ცდილობდა იერიშის მოტანას. ვალიციაში 12-სა და 13-ს დამით მეტრის იერიში მოქონდა მთელ ფრონტზე ვისლის სათავესა და სანის მარცხენა ნაპირს შუა. იერიში ყველგან მოვიგერიეთ და მეტრის დიდი ზიანი მივაყენეთ. სანის ორივე ნაპირზე და მდ. ლობაჩევის და პერემიშის შუა, აგრეთვე პერემიშისა და დნესტრის დიდ ქობს შუა ცხარე ბრძოლა. 12 მაისს მეტროგრაფი დადგა მთელ ფრონტზე დნესტრის დიდი ქობიდან ველაში. ამ დღის და შემდეგი დღის განმავლობაში მეტროგრაფი დიდი ზარალი ნახა და ვერსათ მიზანს ვერ მიახწია. მეტრის ძალები გაიჭრენ ჩვენ ხაზს შუა სტრის ახლო, მაგრამ ჩვენ ისინი მოვსპეტ კონტრიერიშით. წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე.

კ ა ვ ა ს ი ი ს ა ს ა პ ა რ ა ზ ი .
მეტროგრაფი. 14 მაისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის პირის გეზით ჩვეულებრივი სროლა. მელოგერტის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა ჩასაფრებით დაამარცხა ქურთები. დილმან-ვანის რაიონში ჩვენ ჯარს შეტევა მოუხდა ოსმალოებთან ბავკის მიდამოებში და ჩვენმა ჯარმა ქალ. ურშია დაიჭრა. დანარჩენ ადგილებში უკლილება არ მომხდარა.
ჯ ა ვ შ ო ს ა ნ ი „ტ რ ი უ მ ვ ი ს“ დ ა ლ უ ზ ა .
ლონდონი. 13 მაისი. საადმირალი იუწყება, რომ გუშინ დარბაზში ნალმა ჩასიბრა ჯავშოსანი „ტრიუმფი“, კომანდას უმეტესი ნაწილი გადარჩა.
გ ე რ ა ლ დ ა მ ა დ ის დ ა ჭ რ ა
ათინა. 13 მაისი. გენერალ გურომ შესცვლა გენერალი დამადი, რომელიც დაიჭრა.

17 ამ თვეს კვირას, სოფ. სვირში ადგილობრივ მღვდელმთავრებთან გა- მართავს საუბარს ქუთაისის გუბერნიის მე- ვენახობისა და მღვდნობის უფროსი სპე- ციალისტი კ. ბერეჟაშვილი, საუბარი შე- ეხება მღვდნობისა და მღვდნობის საკი- რობას; აგრეთვე განუარტებს მღვდნე- ლებს ახალ კანონს დღის შესახებ.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო იგივე გო- მართლის მიერ შედგენილი და ი. ნადა- რეიშვილისაგან გამოცემული წიგნი: „სქე- სობრივი საკითხი და ბავშვი“. წიგნი სუფ- თად არის გამოცემული, შეიცავს 65 გვერდს და ღირს 1 მახათ.

ქ. მ. ყაუხჩაშვილის კერძო ქალე- ბის გინაზიში წელს ეგზარქები მობდა ოლქის წარმომადგენელის ბ. ვიშნევსკის ხელმძღვანელობით. გინაზია დასრულა და შეიდი კლასის მოწმობა მიიღო 29 პირმა. ამ მათი გვარები: 1) ასათიანი ნაღველა, 2) არჩაია სოფიო, 3) დამაშვიძე სარა, 4) გაწერელი მარია, 5) იოსე- ლიანი აგრაფინა, 6) კაზარანიცინი, 7) კალანდაძე ეგვიპე, 8) კალანდარაშვილი ლიუდმილა, 9) კანდელაკი ელენე, 10) კარ- ნაი თამარა 11) ყაუხჩაშვილი სალომე, 12) ყაუხჩივი მარგარიტა, 13) კვიციანი- ლია როსიმე, 14) კიკნაველიძე მარია, 16) ქიქოძე ელვიდა, 16) კობალაძე ნა- დედა 17) კუჩუხიძე ლუბა, 18) კუჩუ- ხიძე მინდორა, 19) მახათაძე ოლა, 20) მგალობლიშვილი ვერა, 21) მოლოდი- ნოვი ბარბარე, 22) ნიკარაძე ელენე, 26) სვანიძე ნინო, 24) სილადავა ნინო, 25) წერეთელი ელენე, 26) ცუცუბაძე მარია- მი, 27) ჩიხლაძე ვერა, 28) ქუანია ნინო, 29) ჩხეიძე ანა, 30) შოთაძე ანა.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ფელეტონში: ს. ი. ოცხე- ლის „Новое Слово“, შედგენი კო- რექტურული შეცდომა შეგვებარა: მე- 4-ე სტრიქონის ბოლოდან მე-8-ე სტრიქონ- სანამდე სწორია: ასოციაციის და ინტენცი- იის ძალით, ძალი იყოს: ასოციაციის და ინტენციის ძალით.

მოწმობის ამაღლება. სოფ. ხარაშე. (ლენხუმი) 10 მაისს სო- ფელი საირქე კოკისპირულმა წვ მამ და სეტყვამ დიდა დააბარა. საღამოს ხუ- თი საათი იქნებოდა სწორედ, რომ ასტუ- ვა საშინელი ელვა, ქექა, თან მოყვა კო- კისპირული წვიმა, იმას სეტყვა, გაჩნ- ძებულ მთავარებთან ნიაღვრები, და- ეშვა სოფლისკენ და თუ რამე დახვდა სულ- ერთიან გაიტაცა, მამულები სულ ერთ- პირათ გააფუტა, ბოსტნები, ხეხილი, წვრილფეხი საქონელი, შინაური ფრინვე- ლები განადგურა, რომელ ოჯახს სუ- შიაც კი შეიქრა ამბოქრებული წყალი სრულიად დაღუბა. წართვასოფელს ორ- მოკამდის სოფლის წისკვილი და აზვიარ- თებულ რიონს გამოატანა, სოფლის ზა- რალი სულ რომ დავამტრობა, ათი ათას მანეთს აღემატება. ისედაც დამშულს ხალხს, სტიქიამ მთლად მოუსპო ცხოვე- ბის სახსარი. საქაროა დიდი დახმარება.

თქათარი.

მოვარდნებზე ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, საღამოს 8 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნული დამატარული სა- ზოგადოების წევრთა კრება, კრება ინიშ- ნება მეორეთ, რადგან პირველი, წევრთა საჭმო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა. ამ კრების გადადება კი შეუძ- ლებელია, რადგან დრო აღარ ითმენს და მომავალი სეზონის მზადებას გამგეობა ამ- თავითვე უნდა შეუდგეს. ქუთაისში ქარ- თული თეატრი ერთადერთი ეროვნული კულტურული დაწესებულებაა და სასურ- ველია, რომ საზოგადოებამ ამ დაწესე- ბულებას მტერი ყურადღება მიუქცეოს და უპატრონოს კიდევ. რითი აიხსნება, მა- გალითად, პირველი კრებისადმი საზოგა- დოების ასეთი გულცივობა? ვარაუბი პირი თითქმის არაფერია დასწრებით, გარდა ორიოდ მსახიობისა. გამგეობის ზოგიერთი წევრიც კი არ მოვიდა. ასეთი გულცივობა დასა- გმობია, როგორც საზოგადოებისა, ისე გამგეობის წევრთა მხრით საქაროა მტერი ყურადღება, მტერი სიყვარული და პატ- რონობა თეატრისადმი. შარშანდელი სე- ზონი ყოველის მხრით აღსანიშნავია. ვე- ცადოთ საქმე წინ წაწვიოთ და არა და- ვაქვეითოთ. მომავალმა სეზონმა წარსულს უნდა აჯობოს. ამისათვის კი საქაროა იმ გამგეობაში მოხდეს სასურველი, საქმის მოყვარულნი და ენერგიული პირნი, ამ- თავითვე შეუდგნენ მზადებას, დასი მო-

წვიონ, რეპერტუარი შეიმუშავონ და სახსარზეც იზრუნონ. ვიმედოვნებთ, რომ დღევანდელი წლიუ- რი კრება იქნება მრავალ რაცხივანი და ქუთაისის საზოგადოება ამ საქმისადმი გე- როვან ყურადღებას გამოიჩინოს.

მობრუნება.

ეს იყო ჩემთვის იმ ყვავილოვან, ბედ- ნიერ დროს, როცა ყოველი ადამიანი განსაკუთრებული დაკვირვებით და სი- ცხიველით შეჰყურებს ყველაფერს და ყოველ მოვლენას ღრმად აღიბუქავს მახ- სოვრობაში. ეს დრო იყო, დრო გატა- ცების ცხოვრების იდეალური მხარე, დრო უნაგარობის, დრო სლოგანის სწორებისა. მე ვიყავი გინაზიის მოწმობის თილისში, ხშირად დავდიოდი იმ დროინდელ ერთად- ერთ ქართულ გაზეთის „დროების“ რე- დაქციებში, სადაც მგულვებოდა ჩემი მე- გობარი დათიკო მესხი. დათიკო მძა, გან- სვენებული სერგეი მესხი ერთს დროს ავით იყო და გაზეთის გამოცემის საქმეს განაგებდნენ დათიკო და მისი ძმა კოტე- ის დრო, როგორც მახსოვს, ქართული გამოცემისათვის ერთობ გასაჭირი დრო იყო, არ იყო მწერალი, მუდმივ თანა- მშრომლებზე ხომ ლაპარაკი არ შეი- ძლებოდა, უფრო მეტი შემთხვევითი წე- რილები და კარესპონდენტები იბუქდებო- ბოდა მაშინდელ გაზეთში და ხშირად მა- სალის უკონოობისა გამო გაზეთი არც- კი გამოვიდოდა ხოლმე, ამისათვის არის, რომ მაშინდელ ჩვენს მწერლობის ასაპა- რეზე მოღვაწეებს ჩვენს წარმოდგენაში საფუძვლიანად მოციქულების ადგილი უკავიათ, ისინი მართლა რომ მოციქუ- ლები იყვნენ, იმათი ღვაწლი დაუფასებე- ლია ჩვენი კულტურის ისტორიაში. სერ- გეი მესხი, ახლა რომ მავანდება, „დროე- ბის“ რედაქციაში, არა მარტო რედაქტო- რი, ის იყო მეტრამაჟი, კორექტორი და ხანდისხან, მგონი, ასოთამწყობის მოვა- ლეობასაც კი ასრულებდა; არა თუ სერ- გეი, ამავე განუსაზღვრელ ცდაში და მე- ცადინეობაში ატარებდნენ დროს სერგეის მეუღლე, ღირსეული ამხანაგი ქმრისა და და მისი ძმები, ერთი სიტყვით გაზეთის გამოცემის საქმე იმ დროში დიდი სამაშუ- ლიშვილო საქმედ იყო მიჩნეული.

როგორც მახსოვს, გაზაფხულის მიწურ- ბული უნდა ყოფილიყო „შაბათი საღამო“, (შაბათს იმისათვის ვიკონებ, რომ მეორე დღე თავისუფალი მქონდა და დილით ისევ რედაქციაში მოვხვდებო), იქ ბევრი იყვნენ, საწერ მაგიდას მიჯდარი იყო განსვენებული სანდრო ყაზბეგი და გულ- მოდგინეთ, თავჩაქინდრული სწერდა მის „გულჯიდან“ გაზეთის მორიგ ფელე- ტონს, ის ამ დროს არავის არა თუ არ ხედავდა (უკიდურეს ბარისამდე მტეი იყო) ისე გატაცებული იყო წერით, რომ არც გრძობდა, თუ ვინმე იყო იმ დროს ოთახში, მაშინ, როდესაც ამ პატარა, პაპიროსის კვამლში დაბურულ, ოთახში იყვნენ, როგორც მახსენდება, პეტრე უმი- კაშვილი, დავით ერისთავი (შემდგომი გაზ- „კავაზის“ რედაქტორი), კოტე მესხი, დათიკო მესხი და კიდევ ვიღაცეები, რომელნიც არ მაგონდებინან და ძლიერ გა- ცხივებით დაობდნენ რადიკალურ, ამ დროს შემოვიდა აკაკი; ის არ იყო გუნებაზე; იმ დროში დიდ ნივთიერ გაქვრებას ვა- ნიცილიდა და ხშირად უჩიოდა ბედს.

აკაკის შემოსვლა განსაკუთრებით და- თიკოს ძლიერ იამა და მაშინვე საყვედუ- რით მიმართა, რომ ის არ უგდებს რე- დაქციას ყურს, სერგეი ავით არის და მა- სალას არფინ იძლევა, თან თხოვა, დაწე- რა რამე და მიეცა გაზეთისათვის. აკაკი მანიც არ იყო გუნებაზე და დათიკოს მზი- ლებამ მთლად ათია, არა და არა, არა- ფერს მოგვცემა. ეს გულისწყრომა, რასა- კვირველია, მეგობრული იყო, თორემ აკაკი დიდი მოამავე, სულის ჩაღვმელი იყო ამ ერთადერთ მაშინდელ ქართული გამოცემისა, ვიღაცამ ამ დროს დამშვიდე- ბული კილოთი, არ ვიცი დავით ერის- თავმა, თუ პეტრე უმიკაშვილმა, სთქვა, ცოდვა კი არის, რომ იმისთანა გმირი, როგორც აკაკის თავისუფლების მძებნელი არაბი ფაშა, აკაკიმ უყურადღებოდ და- ტოვოსო, სანდრო განაგრძობდა თავისი ელგუჯას წერას ისე გატაცებული, ერთ- ხელადაც არ აუწევია თავი, რომ გაეგო ვინ იყო ოთახში.

ბევრი იღავეს ამ საღამოს სხვადასხვა კითხვაზე და შემდეგ, გვიან, წვიდ წამო-

ვიდნენ. მეორე დღეს დილით 10—11 სა- ათი იქნებოდა მე ისევ რედაქციაში მოვ- ხედი, პეტრე უმიკაშვილი, იგივე დავით ერისთავი, დათიკო მესხი და კიდევ ვიღა- ცეები იქ დამხვდნენ, გვიან აკაკი შემო- ვიდა, მაგრამ ეხლა კი ჩვეულებრივ მასი- ლიმით, გაბრწყინებული თვალებით. ცო- ტა ხნის შემდეგ მან ამოიღო დიდი სი- ფთობილი უბის ჯიბიდან ქაღალდი, და- თიკოსკენ განზე მიიხვდა, თითქოს ეში- ნოდა არ წაერთმია და წაიკითხა ახლათ- დაწერილი მისი ლექსი არაბი ფაშას შე- სახებ და წაიკითხისათვის სიჩქარით და- კეცა და ჩაიღვა იმავე უბის ჯიბეში, რომ დათიკოს არ გამოეტაცნა ხელიდან, ლექ- სი ძლიერ მოეწონა ყველას იქ მყოფს, გარდა განსვენებული სანდროს, რომე- ლიც იმავე ადგილს იჯდა, სადაც იჯდა გუშინ საღამოს და სწერდა იმავე ფელე- ტონის გაგრძელებას, რომელსაც გუშინ სწერდა, მას არ გაუვია არც აკაკის შე- მოსვლა და არც ლექსის წაიკითხვა. ეს ფე- ლეტონები იწერებოდა დათიკოს თხოვ- ნით, რომ გაზეთის მასალა არ შემოკლებო- და. დათიკომ მოიხვედრა აკაკის გაზეთში დასაბუქდად ეს ლექსი, მაგრამ აკაკი უარ- ზე გადა, არ მოგვცემ, ცოტა რამე მაინც მომეცითო, უსასყიდლოთ არ მოგვცემთო, ესუბრებოდა. თუ სხვა არა, სატალახო მაინც მერგებო, დათიკომ კილერს ჯი- ბიდან ამოიღო მანეთიანი ქაღალდის ფუ- ლი და უთხრა მეტი არ მაქვს, თუ მიი- ლებ და იკმარებ, წაიღე და მომეცო, აკაკისაც ეს უნდა, დიდის სიამოვნე- ბით დასთანხმდა, გამოართვა მანეთიანი და ლექსი არაბი-ფაშის შესახებ გადასცა დათიკოს; დიდი სიამოვნება გამოესახა სახეზე, რომ ერთი მანეთიანი მაინც ჩა- მთართვა. პეტრე უმიკაშვილმა რომ შე- ხედა ამ სურათს, შემოავლო თვალი ყვე- ლა იქ მყოფს და სთქვა, აკაკის სიკვდი- ლის შემდეგ, თუ ვისმე გეგნესთ შემთხვე- ვა ნახათ მისი ბიოგრაფი, არ დაივიწყეთ გადასცეთ მას, რომ ამისთანა გმირი, რო- გორც იყო არაბი ფაშა, აკაკიმ გაყიდა ერთ მანეთად, აკაკიმ მოსწრებულათ და- უშატა, არ დაივიწყეთ ისიც გადაცეთ იმავე ჩემს ბიოგრაფს, რომ ერთადერთმა ქართული გაზეთის „დროების“ რედაქ- ციამ, იმისთანა ლექსში, როგორც არა- ბი ფაშა არის, აკაკის მისცა მხოლოდ ერთი მანეთი.

დათიკო ძლიერ მზიარული დარჩა, რომ ერთ მანეთად მომადიდებოდა აკაკი და აკაკი კი მით, რომ 1 მანეთი მაინც აიღო დრო- ების რედაქციიდან თავის „არაბი ფაშა- ში“. სანდრო განაგრძობდა წერას, მას უნდა მოთხრობის გმირის—გიორგის

ლათინური კულტურა.

(სატყუა იბალიელ გულიშვილ ფერე- რისი.) იმ დროს, როდესაც ახლანდელი დროს კრიზისით შემოვლული მეცნიერები ცდილობენ გამოარკვეონ არსებითი მხა- რე ამ კრიზისისა და მის წარმოშობა მი- ზეხებებს ეძებენ; იმ დროს, როდესაც შე- ვე ნეცნიერები თავის ძალასა და ღონეს სწირავენ თანამედროვე მდგომარეობის გამოსარკვევად; იმ დროს, როდესაც ყვე- ლა ერს მომავალი უქაღის რაღაც საშე- ნელია და მოულოდნელ სიბნელეს, რო- მელიც ეკვლის თვალწინ უნდა გაიშალოს სე- მსიქი უფსუქულა სახით—სასარგებლოა ხანდისხან, რომ კაცმა სტეროსკოპიუ- რათ გადაავლოს თვალი წარსულსაც. აი, რატომ მივეგებე დიდის სიხარულით ამ დიდად კრებულ მოწვევას, რათა სიტყვა მეთქვა იმ კრებაზე, რომელიც მოწვეულ იქნა პარიზში, ლათინურ ერთა სულიერ ძმობის სადღესასწაულოთ. დროა გვიხს- ნეთ, რომ ყველა ჩვენ,—ფრანგები, ეს- პანელები, პორტუგალიელები, რუმინე- ლები, იტალიელები, ენთაიც, კულტუ- რითაც და ზნეობებითაც ვეკუთნით იმ ბრწყინვალე ცივილიზაციას, რომე- ლიც წარმოიშვა სამეგრეთში და ლათი- ნური ხასიათი მიიღო იტალიაში. ლათი- ნური ხასიათი კულტურამ დაიპყრო ევროპის დიდი ნაწილი, მფლობელობა იქა და იმ- ფლობელებს კიდევაც. საუკუნის განმავ- ლობაში. დადგა დრო, გავისხნეთ წინა- პართავან დავიწყებული ამ ცივილიზაციის ტრადიციები, იმ ცივილიზაციისა, რომე- ლიც ახლა ჩვენ საერთო ღვადათ ისე- ენება.

თუ კი ჩვენ გვინდა წარსულის გაც- ნობითი შეგახსრულოთ ჩვენი ვილი აწე- ყოსთან, საქაროა გავისხნეთ ის, თუ რა ახასიათებდა ლათინურ ერს საერთოდ მის უძლიერესობის ხანაში. გავისხნეთ, მავალითად, მისი მისწრაფებანი დიდების

მოკვლა, მაგრამ დათიკოს თხოვნით ის არ მოკლა და ამის გამო რამოდენიმე ფე- ლეტონი კიდევ დაწერა, რომ „დროებს“ მასალა არ შემოკლებოდა.

სერგი ხახვაძე.

ქუთაისის ცხოვრებიდან.

ბ. ნ. დათეშიძე და ქუთაისის საურ- თიერთო ნდობის საზოგადოება.*

წარსულ კრებაზე, როდესაც ერთმა ქართველმა ვაჭარმა წინადადება შეიტანა, რომ გადახუტულ, აობრებულ და უპატ- რონათ მიტოვებულ მიწერ-მწყურვალ აქარლებსათვის 500 მანეთი გადაეცემა, ერთმა ებრაელმა, რასაკვირველია ბ. ნ. დათეშიძის „კოლიენტმა“ პირდაპირ წამოი- ძახა: „ვინ არიან აქარლები, რა დროს აქარლებიაო“.

ჩვენ ერთა შორის ყოველგვარ ანტა- გონიზმის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ, იმისათვის მაინც უნდა მორიდებოდა ხე- ნებული ვაჭარი ასეთი სიტყვების წამო- სროლას, რომ შეიძლება ამ ვაჭარმა სიტ- ყვეზე თვით მის ვაჭრობას აენოს რამე, რადგან მაგნიტებელ ვაჭარს მუშტარი ხში- რათ გვერდს უვლის ხოლმე და ქართვე- ლი ერის ერთი დიდი ნაწილისადმი ასე- ი „დაუდევრობა“ შეიძლება ძალიან ბევრმა იწყინოს... მერე ვისი და ან რის შედეგია ყველაფერი ეს? ბ. ნ. დათეშიძისა და მისი პროპაგანდისა, რომლის აზრით ვაჭრის- თვის თავის თავისა და საკუთარ ვაჭრო- ბის მტერი სხვა არაფერი და არავინ არ უნდა არსებობდეს... ამ ვაჭარს, ბ. ნ. დათეშიძის „მოღვა- წეობა“, როგორც ბ. ნ. მანთანი. ბძანებს, არც ეგზომ სადიდებელია, რომ მისთვის სამეცნიერო მელანი ამოვაშროთ. ამ მხრივ იგი არა თუ ქართველი საზოგადოებისა- თვის, არამედ, როგორც ვთქვით, თვით საურთიერთო ნდობის ბანკისათვისაც ფრიალ საშიში და სახიფათოა. მაგრამ ბ. ნ. დათეშიძის „პირად და საზოგადო“ მო- ლეწობაში არის კიდევ ერთი ფენიერტი, რომელიც, არა გვერთა, საგრძობლოთ არ ჩრდილავდეს მის „რეპუტაციას“ არა თუ როგორც საზოგადო მოღვაწისა, არამედ როგორც კომერსანტისა.

ყველამ უწყის, თუ ამ ქუთაი როგორ მდგომარეობაშია ვიმყოფებით. შიში- ლობა კარს გვადგა და ხალხი გაქირვებ- ბის უღელტეხვს სასოწარკვეთით გმინვას და ოხრებას. წარსული წლის მოსავალი ჩვენი გლეხობის უმეტეს ნაწილს იანვრამ- დისაც არ ჰყოფნია და დანარჩენი მქვს ან რე თვე შიმშილობაში უნდა გაატა- ვებოდეს.

შემდეგი. იხ. „საშუ.“ № 79.

მოსაპოვებლათ, მისი დაუმარცხებელი სი- ძლიერე სიდავას და სიერისის მოპო- ვას წინაშე. ჩამოვხედეთ რომელიმე ვეგეტის ტაძ- რის ბოძებთან, გავიაროთ ვეგეტრელა სპარსულ, ბაბილონურ ან და ასირიულ შენობათა შორის. რა დიადი, რა მშვე- ნელი და მომხიბლავია ეს ვეგეტრელა შენობები. ახლა ვეწვიოთ საბერძნეთს, რა მშვე- ნიერება რამ არის პართენონი, ეს საბერ- ძნეთის ხალხთა სიამაყის საგანი. შემდეგ თანხმობის ტაძარი ჯირჯერტში; აგრეთვე შესანიშნავია ქმნილებანი საბერძნეთის ხუროთმოძღვრათა! ავიღოთ ილიადა და ოლისია. ეს პოემები აღმოსავლეთის პოე- მებს რომ შევადაროთ, ისეთ დაუსრულე- ბულ პოემებს, როგორცაა რამაინა და მგფთა ვიგებებს; მაშინ ილიადა და ოლი- სია პატარა ლექსებთა მოგმევენება! ყო- ველივე საბერძნეთის არის ქრისტეს სიტყვა- თა კრებული. ამა შედარეთ სახარება ბუდას სიტყვებს! ხმელთა შუა ზღვის პირას საქმარისი იყო რამოდენიმე გვერ- დი დაწერილიყო, რომ მთელი ქვეყანა გაეახლებინა, მაშინ როდესაც შორეულ აღმოსავლეთში ახალი რელიგიის შესა- ქმნელთა და დასაწერათ საქარო იყო აუარებელი ქაღალდი. აღმოსავლეთი—მასა, სიმძიმე, გამოე- რება და მრავალსიტყვაობა. საბერძნეთი—თანხობა, პარონია, პაე- როვნება და გრძელი სიტყვის მოკლე თქმა. პირველი ცდილობს შეიქმნას ვეგეტ- რელა სიერეობა, ხალხით; მეორე კი ესწრაფვის სილიადეს და სახელს. დიდი და დიდებული! აი ამ ორ სიტ- ყვათა შორის დიდი განსხვავება ერთსა და იმავე დროს—ინტელექტუალურიც და მორალურიც. განვმარტოთ ორივე სიტყვა. ის ერი, რომელიც მიღწევს თავის

როს. ამას ხელ დაუბრუნეთ ევროპის რამე- რომელმაც მრავალი ქართველი ახალგაზრ- ძა მოაშორა თავის კერას და მათი სახე- კარი ბედის ანაბარათა და მათი უფროსი, რადგან მუშა ხელი ახალგაზრდობის ხობის ტანჯვა აუწერელია და ამ გვარ მდგომარეობაში იწყობება არა ერთი და ორი, არამედ მრავალი, რომელთაც ვინ იცის, არა ბოლო მოელოთ, თუ დახმარე- ბა არსიდან ვაუხნდათ. აი, ამ დროს, ამ საშინელსა და შემაძრწუნებელ მდგომარე- ბაში მთავრობამ დააპირა დამშუღლე- ბისათვის საკვები და სათესლე სიმინდი მიეცა სესხათ, რომელიც შემდეგ ისევ იმ დამშუღლებს უნდა გადახდეს.

რამოდენიმე კაცი თანახმა იყო ფუთი სიმინდის 18 შაურათ მიეწოდებინათ დამ- შუღლეთათვის, მაგრამ აქ გაჩნდა ბ. ნ. და- თეშიძე და კომპანია, რომელთაც მოა- ხერხეს ის, რომ იჯარა თვითონ აიღეს, და როგორ გგონიათ რა პირობებში? მა- შინ, როდესაც სხვები 18 შაურათ თან- ხმდებოდნენ, ბ. ნ. დათეშიძესა და კომპანიას 1 მან. 3 კაპ. გადაეცა ფუთი სიმინდის იჯარა. ამის შემდეგ საქაროა ეკითხოს „მანთანებს“; განა ამ ვაჭარ რამეს ჩაიდენ- და ადამიანი, რომელსაც საზოგადოების კეთილ-დღეობა აინტერესებს? ჩვენ გვეს- მის იმ კომერსანტის გულსთქმა, რომე- ლიც სცილიობს ამა თუ იმ საქონელში მტეი მოიგოს, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი და ამ შემთხვევაშიაც ნუთუ ბ. ნ. დათეშიძემ არ იცოდა, რომ ის 13 კაპ., რომელიც მას მიუმატეს, დამშუღლი გლეხის გაძვირებად უნდა გამოეყენებინა? ბატონებო, ყველაფერს თავისი საზღვა- რი აქვს, სხვათა შორის, ფულის შოვნა- მოგებისაც, მოგების სურვილიც საქაროა არჩევეს იმ გზას, რომლის წყალობითაც მან „ოქროები“ უნდა დისაკუთ- როს, თორემ ასე ხომ შეიძლება შარა- გზაზედაც გამარცხოთ ადამიანი, ჯიბეები ამოივსოთ წანაგლეჯით და შემდეგ კი ამაყათ წამოიძახოთ: — ხედავთ ფული მაქვს, ნუ კითხულობთ თუ ვისგან და როგორ შექმნილი, თქვენ ანგარიში მხო- ლოდ იმას გაუწიეთ, რომ მე ფული მაქ- ვისი... წარმოადგინეთ, შეიძლება მორ- დამიანს არც სამი ათასი მანეთი ქონდეს ჯამგარად და არც ხეტყის ქარხანა, მაგ- რამ ესეთს „სპეკულიაციებზე“ კი უარი განეცხადებინა და ვინ იტყვის, რომ ასეთი ადამიანის შრომა-მოღვაწეობა უფრო ნა- ყოფიერი არ იქნებოდა თუ დანაწილდეს ბუღალტრისათვის, რომლის თავმჯდომარეთ გახლობაც ბ. ნ. დათეშიძეს სურს? მასხალაზე, როდესაც რამე კომერცი- ული დაწესებულებების მეთაურთა ვისმეს ირჩევენ, უნდა აირჩიონ არა იმისი მიხე-

იღვალს, განახორციელებს მას, ის ერი, რომელიც განადგურებს ყველა იმ მი- ზებს, რომელიც მის წინმსვლელობას წინ ელოდება, დიდებულია.

ერი, სახელმწიფო, რომელიც ყოველ ძალასა და ღონეს ხმარობს შეიქნეს მძღავე- რი, ვრცელი ტერიტორიით და უძლიერე- ლი ჯარით—დიდა.

აი რით განსხვავდება ეს ორი სიტყვა ერთმანეთისაგან. მე რომ შემეძლოს ვისარგებლო თქვე- ნის ერთი დიდებული ფილოსოფოსის სი- ტყვეობით, ვიტყვი, რომ „დიდებული“ —შეუხავებელი ღირსებაა და „დიდი“ ანუ „ვეგეტრელა“ კი—ღირსება, რაოდენო- ბის დიდი ნაწილით.

მარტო იმიტომ კი არა, რომ შექმნათ, არამედ იმიტომაც, რომ დავიგოთ დიდე- ბული ქმნილებანი, რა დატრგისაც უნდა იყვენ ისინი, საქაროა მკაცრი თადარიგი აზრებისა, სიმშვიდე და დავიქრება, რად- განაც საქაროა იდეალი სისრულისა მივი- ლოთ, როგორც კანონი.

სიდიდებე ვიტყვი, რომ ეს ერთი იმ ათას- გვარ ფორმებთაგანია, რომელიც ყველა მტეცულებისათვის მისაწვდომია. აი, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდესთ, რომ ხანდისხან საბერძნეთი და რომი, რა- იმე დიდებულ საქმის ჩადენის შემდეგ, უმთავრესათ მაშინ, როდესაც დგებოდა ხოლმე მათი ისტორიის რომელიმე ბრწყინ- ვალე ხანა, თავის თავს „ვეგეტრელა“ „დიდათ“ გულისხმობდნენ.

მობრძანდით ჯირჯერტში: თანხობა- ბის ტაძრიდან ცოტა მოშორებით თქვენ ნახათ პატარასა და ქვე დიდებულ შე- ნობებს ერთსა და იმავე ადგილას. პირ- ველნი არიან შეუღლარებელი სილამაზის მქონე, მათ გვერდში უდგანან დიდებუ- ლი ტაძრები და სახარებები, რომელთა სიმშვენიერესაც აღტაცებაში მოყავს მე XX საუკუნის პარიზისი ქვეყნის ყო- ველ კუთხიდან ჩამოსულნი.

(შემდეგი იქნება). სტ. ლევან ყაფიანი.

